



**უფლებები
საქართველო**
Rights Georgia

ედექრონუდი მართდმსაჯუდების ეფექტიანობის და ხედმისაწვდომობის მონიტორინგი

პირველადი ანბანი
2020



USAID
აშშ-ის საგარეო
დახმარების აგენტი

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

შესავალი

მიმდინარე წლის მაისიდან, “უფლებები საქართველო” ახორციელებს პროექტს “ელექტრონული მართლმსაჯულების ეფექტიანობის და ხელმისაწვდომობის მონიტორინგი”. პროექტი ხორციელდება აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG) პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) მიერ.

პროექტის მიზანია, ერთის მხრივ, გამოვლინდეს ის პრობლემები რასაც სასამართლოს მომხმარებლები აწყდებიან სასამართლო სერვისებით სარგებლობისას საგანგებო ვითარების დროს, მეორეს მხრივ - განხორციელდეს სხდომების ელექტრონული წარმართვის მონიტორინგი და შემუშავდეს რეკომენდაციები დისტანციური სერვისების განხორციელების მიზნით. ამ მიზნის მისაღწევად, პროექტი ახორციელებს ელექტრონულ სხდომებზე დაკვირვებას და მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული სუბიექტების გამოკითხვას აღნიშნული პრობლემების შესწავლისათვის.

პირველი მიზნეუბი

პრობლემები ელექტრონული საქმისწარმოებისას

სასამართლო სეზისების ხელმისაწვდომობა

- გამოკითხულთა დიდი ნაწილი სასამართლო სერვისების (დოკუმენტების ჩაბარების, ინფორმაციის მიღება) კუთხით რაიმე პრობლემას ვერ ხედავს.
- ადვოკატთა ნაწილის ინფორმაციით ზოგი სასამართლო სისხლის სამართლის საქმეებზე ელექტრონულად დოკუმენტებს არ იბარებს, რაც ადვოკატებისთვის პრობლემაა.
- კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ჩაბარება რთულდება, ვინაიდან სასამართლოში მისვლას საჭიროებს.
- ზოგ ადვოკატს უჭირს დოკუმენტების ამობეჭდვა და ხელმოწერილი და დასკანერებული დოკუმენტის გაგზავნა, იმის გამო რომ სახლში არ აქვს ეს ტექნიკური საშუალებები.

პრობლემები სხდომების ჩატარების გზით

- როგორც ადვოკატებმა აღნიშნეს, პანდემიის დროს სამოქალაქო და ადმინისტრაციული პროცესების უმრავლესობა საერთოდ არ ტარდება, რაც იწვევს მართლმსაჯულების გაჭანინაურებას.
- თარჯიმნის მონაწილეობა სხდომაზე იწვევს სხდომის გახანგრძლივებას ვინაიდან სახეზეა თანმიმდევრული თარგმანის საჭიროება.
- მხარეები ზოგჯერ არ ფლობენ კომპიუტერულ ტექნიკას ან აქვთ დაბალი ხარისხის ინტერნეტი, ასევე, იმის გამო რომ მხარეები არ არიან ყოველთვის შესაბამისი უნარებით აღჭურვილი, სხდომის დაწყება ზოგჯერ საჭიროებს დიდ დროს, სანამ მასში მონაწილე პირები მოახერხებენ პროგრამაში ჩართვას და გაერკვევიან მისი მუშაობის წესებში.

- მხარეს შეუძლია ტექნიკის არ ცოდნის მიზეზით პროცესში ჩართვაზე უარი თქვას, რაც შეიძლება იყოს საქმისწარმოების გაჭიანურების ხერხი.
- დისტანციურ სხდომაზე ნივთმტკიცების დათვალიერება რთული ან შეუძლებელია.
- სააპელაციო სხდომები არ იმართება ორი მთავარი მიზეზის გამო: საპატიმრო საქმეებზე სააპელაციო სასამართლოში ვადები არ მოქმედებს და მოსამართლეები ერიდებიან საპატიმრო დაწესებულებების ვიდეო დარბაზების გადატვირთვას. მეორეს მხრივ, მხარეებიც არ ითხოვენ დისტანციურად სხდომების ჩატარებას.
- დისტანციური პროცესი ყველა სასამართლო დარბაზიდან ვერ ტარდება, ვინაიდან დარბაზი უნდა იყოს ტექნიკურად აღჭურვილი. სასამართლოში ეს ინვესტს გარკვეულ შეფერხებებს. ზოგ საქალაქო სასამართლოში მხოლოდ ერთი დარბაზია აღჭურვილი.
- პანდემიის პერიოდში პროკურატურამ დაიწყო საქმეში მონაწილე პროკურორების ჩანაცვლებები, რის გამოც საქმეში მონაწილე ახალი პროკურორი მოუმზადებელია და ითხოვს პროცესის გადადებას ამა თუ იმ მიზეზით.
- ვიდეო მტკიცებულების გამოკვლევისას მხარეებისათვის ხმა და გამოსახულება რთულად გასაგონია, რადგან ვიდეო ჩანაწერი ირთვება დარბაზში და იგივე ხარისხით არ მიეწოდებათ მხარეებს. გარდა ამისა, ხშირად მოწმეს კონკრეტული პირის ამოცნობის, ან პირების განლაგების და ა.შ. თაობაზე უსვამენ მხარეები კითხვას და მოწმისთვის მითითება იქვე ეკრანზე ხდება რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია დისტანციური წარმოებისას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგი მხარე ან მოწმე ტელეფონით ერთვება და პატარა ეკრანში დიდი ვიდეო ჩანაწერის გარჩევადობა პრობლემაა.
- გამოკითხულთა ნაწილი ფიქრობს, რომ მთავარი არსებითი სხდომა ყოველთვის უნდა ჩატარდეს რეალურ რეჟიმში.
- პრობლემურია თავისუფლებაში მყოფი ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება, ვინაიდან ის დარბაზში არ იმყოფება.
- დახურული სხდომის ჩატარება ფაქტობრივად შეუძლებელია, ვინაიდან ვერ კონტროლდება გარე პირების ხელმისაწვდომობის საკითხი



სხდომების ჩატარების დროს ელექტრონული კავშირის (ხმა, გამოსახულება) ხაზისხი

- კავშირის ხარისხს გამოკითხულთა ნაწილი დადებითად აფასებს, ხოლო ნაწილი უარყოფითად და მიუთითებს, რომ ხმა და გამოსახულება პერიოდულად იკარგება, ან მეორდება. მოსამართლეებმა აღნიშნეს რომ პროგრამაში 5 მონაწილეზე მეტის ჩართვის შემთხვევაში პროგრამა იტვირთება და ნელა მუშაობს.
- ერთმა მოსამართლემ აღნიშნა რომ პროგრამამ სხდომის ვიდეო ჩანაწერი არ შეინახა და სხდომის აღდგენა შესაძლებელი გახდა დარბაზის კამერების და აუდიო ჩამწერი პროგრამის მეშვეობით.
- თუ ერთდროულად ორი მონაწილე საუბრობს, ხმა აღარ ისმის და გვინვეს დასმული შეკითხვის გამეორება.
- სასჯელალსრულების დაწესებულებებს სხვადასხვა სიჩქარის ინტერნეტი აქვთ, ამიტომ ჩართვის ხარისხი ამაზეც არის დამოკიდებული.
- იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ კავშირი ცუდია, სხდომის მონაწილეებს უწევთ ერთი და იგივე ფრაზის გამეორება, რაც აჭიანურებს სხდომას.
- ზოგ შემთხვევაში სხდომის მონაწილის ხმა მეორდება.
- როგორც მოსამართლემ აღნიშნა, ზოგჯერ ადვოკატები თავად თიშავენ გამოსახულებას, ალბათ იმისთვის რომ პროცესის მიმდინარეობისას ჩაი დალიონ. მოსამართლისთვის ეს მიუღებელია და ითხოვს ვიდეოს ჩართვას.

მოწმეთა დაკითხვა

- მოწმეებს ზოგჯერ არ აქვთ დისტანციური ჩართვის ტექნიკური საშუალებები ან არ იციან მათი გამოყენება.
- ზოგი ადვოკატი ფიქრობს, რომ ადვოკატი დისტანციურად მოწმის დაკითხვას არ უნდა დათანხმდეს, თუ არ არის გადაუდებელი აუცილებლობა (მაგალითად საზღვარგარეთიდან ჩართვა). ადვოკატს და სასამართლოს არ შეუძლია დააკვირდეს მოწმის სხეულის ენას, რაც მისი ჩვენების სანდოობის შესაფასებლად მნიშვნელოვანია.
- ადვოკატთა ნაწილი თვლის, რომ თუ ბრალდების მოწმე მნიშვნელოვანია, დაცვამ უნდა იშუამდგომლოს მისი სასამართლო დარბაზიდან დაკითხვა.
- პრობლემატურია დისტანციურად ჩართული მოწმის ვინაობის დადგენა. ჩვეულებრივ პროცესში დისტანციურად ჩართული მოწმის ვინაობას ადასტურებს დარბაზში მყოფი მხარე.
- პრობლემა არის ასევე ის, რომ ერთი მოწმე, რომელიც ჯერ არ არის დაკითხული შეიძლება უსმენდეს მეორე მოწმეს.
- მოწმე, რომელიც პოლიციიდან იკითხება შეიძლება მოექცეს პოლიციის ზეგავლენის ქვეშ.
- იყო შემთხვევა, როცა კითხვის დასმის შემდეგ მოწმეს „თითქოს“ გაეთიშა კავშირი, ხოლო კავშირის აღდგენის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მოწმე პასუხისთვის იყო სხვაგვარად მომზადებული. ანუ ადვოკატი ამ შემთხვევაში კარგავს ტაქტიკურ უპირატესობას.
- ადვოკატს შეუძლია რეალურ რეჟიმში არაკეთილსინდისიერი მოწმე ადვილად გამოტეხოს. დისტანციურ რეჟიმში ეს რთულია.

თავისუფლებაალკვეთილი ბრალდებულის მონაწილეობა

- საპატიმრო დაწესებულებებში ვიდეოდარბაზების რაოდენობის სიმცირის გამო ხშირად ვერ ხერხდება ბრალდებულის დროულად ჩართვა პროცესებზე.

სხდომის მიმდინაეობისას ბიადეებუღსა და ადვოკატს შოხის პოზიციების შეთანხმება

- გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ სხდომის დროს პოზიციების შეთანხმება არის პრობლემური. რეალური სხდომის დროს ხშირად ხდებოდა შესვენების გამოცხადება პოზიციების შესათანხმებლად.
- ადვოკატთა ნაწილმა განაცხადა, რომ კლიენტთან პოზიციას ათანხმებენ სხდომის დაწყებამდე, ამიტომ ეს პრობლემა არ ჰქონიათ. ზოგჯერ პოზიციის შეთანხმება ხდება სატელეფონო კავშირის მეშვეობითაც.
- ზოგ შემთხვევაში პოზიციის შეთანხმება ხდება ელექტრონულ პროგრამაშივე. პროცესის სხვა მონაწილეები გადიან პროგრამიდან და რჩება მხოლოდ ადვოკატი და ბრალდებული, თუმცა ეს კომუნიკაცია არ არის დაცული. ზოგ შემთხვევაში ეს მომხდარა სხდომის დაწყებამდეც.

ადვოკატის და კლიენტის უხითეხითობის პიობდემა

- ზოგიერთი ადვოკატის მოსაზრებით, დისტანციური ჩართვის დროს პატიმართან ნდობის მოპოვება რთულია.
- რეალური სხდომის მიმდინარეობის დროს ადვოკატს უწევს კლიენტისათვის იურიდიული ტერმინოლოგიის განმარტება, რაც შეუძლებელია დისტანციური სხდომისას.

შუამდგომლობების წახდგენა სხდომის დროს

- რესპოდენტების ნაწილმა მიუთითა, რომ სხდომისთვის შუამდგომლობების წარდგენა არ არის პრობლემა. მათ აგზავნიან სასამართლოში ელექტრონული ფორმით სხდომის დაწყების წინ.

დისტანციური სხდომების დადებითი მხახეები

კვლევის შედეგად გამოიკვეთა დისტანციური საქმისწარმოების შემდეგი დადებითი მხარეები:

- უსაფრთხო გარემო.
- მხარეების დროისა და რესურსის დაზოგვა.
- სასამართლო სხდომებზე ეტლით მოსარგებლე პირების მონაწილეობის სიადვილე.
- ნებისმიერი ადგილიდან სასამართლოს ხელმისაწვდომობა.
- მოწმე, რომელიც ფინანსური პრობლემის გამო ვერ ახერხებს რეგიონიდან გადაადგილებას ერთვება დისტანციურად;
- ზოგი მოწმე დისტანციური ჩართვით უფრო თავისუფლად საუბრობს, მაშინ როცა სხდომის დარბაზში შეზღუდულია.
- ბრალდებულს ხშირად ურჩევნია პროცესზე დისტანციურად ჩაერთოს.
- მოსამართლე აღარ ექცევა დარბაზში მყოფი დაზარალებულის ემოციური ზეგავლენის ქვეშ.
- დისტანციური პროცესები აიაფებს საადვოკატო მომსახურების ხარჯებს.

დისტანციური ფორმით ჩასატარებლად რეკომენდირებული სხდომები

შეკითხვაზე, პანდემიის პერიოდში, ასევე პანდემიის დასრულების შემდეგ დისტანციური ფორმით რომელი სხდომების ჩატარებას გაუწევდით რეკომენდაციას, რესპოდენტებმა დაასახელეს შემდეგი სხდომები:

სამოქალაქო საქმეებზე:

- მოსამზადებელი სხდომები;
- მხარდამჭერად დანიშვნის საკითხები;
- ქორწინების შეწყვეტა;
- უდაო წარმოების საკითხები;

სისხლის სამართლის საქმეებზე:

- წინასასამართლო სხდომა;
- ისეთ საქმეებზე სადაც მტკიცებულებები არის არასადაო;
- პატიმრობის საკითხის გადასინჯვა;
- ნაკლებად მძიმე დანაშაულთა საქმეები;
- საპროცესო შეთანხმების დამტკიცება (არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანა);
- მთავარი არსებითი სხდომა, რომელიც წინასწარ ცნობილია, რომ უნდა გადაიდოს.
- შესავალი და დასკვნითი სიტყვების წარმოთქმა მთავარ არსებით სხდომაზე;
- სააპელაციო სასამართლოში მოწმის დაკითხვა და ნივთმტკიცების გამოკვლევა იშვიათია, ამიტომ დისტანციური სხდომების შესაძლებლობა კარგად უნდა იქნას ათვისებული.

ზოგიერთი გამოკითხული ფიქრობს რომ თუ მხარეები შეთანხმდებიან ყველა სხდომა შეიძლება დისტანციურად ჩატარდეს.

გამოკითხულთა ნაწილი ფიქრობს რომ შეუძლებელია წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რომელი სხდომები უნდა ჩატარდეს დისტანციურად და რომელი არა. შესაბამისად, ეს საკითხი უნდა გადაწყდეს თითოეულ საქმეზე ინდივიდუალურად.

გამოკითხული ადვოკატების ნაწილი (განსაკუთრებით კერძო ადვოკატებიდან) საერთოდ ეწინააღმდეგება პანდემიის დასრულების შემდეგ დისტანციური სხდომების გაგრძელებას. ფიქრობს, რომ დისტანციური ფორმით წარმართული მართლმსაჯულება ვერ იქნება ხარისხიანი და დისტანციურ სხდომაზე ადვოკატს არ ეძლევა დაცვის ეფექტიანად განხორციელების საშუალება.

ადვოკატების ნაწილი ფიქრობს რომ აღკვეთის ღონისძიების შერჩევა დისტანციური სხდომის მეშვეობით არ არის მისაღები, ვინაიდან ვერ ხდება ბრალდებულის პიროვნების სათანადო შესწავლა.

სისხლის სამართალში მომუშავე ადვოკატების ნაწილი ფიქრობს, რომ დისტანციური სხდომების გამოყენება მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დროს არის დასაშვები, როდესაც მხარეებს შორის ყველაფერი შეთანხმებულია.

სხდომების საჯაროობა:

პროექტის მონიტორებს არ აქვთ შესაძლებლობა უშუალოდ დაესწრონ სასამართლო სხდომებს, რაც პრობლემაა როგორც პროექტის განხორციელების თვალსაზრისით, ასევე წარმოადენს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას. აღნიშნულით იზღუდება როგორც ბრალდებულის და მხარის უფლება საჯარო განხილვაზე, ასევე საზოგადოების უფლება თვალის ადევნოს მართლმსაჯულების პროცესს.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის მე-13 მუხლის თანახმად სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამავე კანონის მე-13¹ მუხლის თანახმად სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიო-ვიდეო ჩანერა. პრეზიდენტის დეკრეტი აღნიშნული წესებიდან რაიმე გამონაკლისს არ ითვალისწინებს.

პროექტის პირველი ეტაპის შედეგები

პროექტის მიერ პირველ ეტაპზე შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე პროექტი რეკომენდაციას უწევს მიმდინარე რეჟიმში შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას (თუმცა ამ რეკომენდაციების ნაწილი რელევანტურობას შეინარჩუნებს პანდემიის დასრულების შემდეგ, რაც აისახება პროექტის შემაჯამებელ ანგარიშში).

- მართლმსაჯულებაში მონაწილე ყველა სუბიექტის (უწყების) ჩართულობით შემუშავდეს გაიდლაინები დისტანციური სხდომების ჩასატარებლად (სადაც გაიწერება როგორც ტექნიკური პროცედურები, ასევე რეკომენდაციები, რაც გამომდინარეობს მართლმსაჯულების ინტერესიდან).
- მოხდეს ყველა სასამართლო დარბაზის ტექნიკური აღჭურვა დისტანციური სხდომის ჩატარების მიზნით. დისტანციური სხდომები შესაძლოა მოსამართლეთა კაბინეტიდანაც ჩატარდეს, თუმცა ამ შემთხვევაში დაცული უნდა იქნას ჩანაწერის უსაფრთხოების ტექნიკური პირობები.
- მხარეთა მოთხოვნისას ნივთმტკიცების დათვალიერება და მოწმის დაკითხვა ჩატარდეს მხოლოდ სხდომის დარბაზში.
- დაიწყოს მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში დისტანციური სხდომების ფართო გამოყენება.
- ტექნიკურად მოგვარდეს ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალობის დაცვა სხდომის ჩატარების დროს.
- სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში გაიზარდოს ვიდეო ოთახების რაოდენობა და გაუმჯობესდეს ინტერნეტის ხარისხი.
- წინასწარი გამოძიების დროს საქმისწარმოება მაქსიმალურად უნდა გახდეს ელექტრონიზებული. ადვოკატს უნდა ჰქონდეს ელექტრონული წვდომა საქმის მასალებზე,
- სასამართლოში ყველა კატეგორიის საქმეზე უნდა იყოს შესაძლებელი დოკუმენტაციის წარდგენა ელექტრონული ფორმით. შესაძლოა ელექტრონული ვერსიის შემდეგ სასამართლომ მოითხოვოს დოკუმენტის ორიგინალის ჩაბარებაც.
- დაიგეგმოს ტრენინგები ელექტრონულ წარმოებაში მონაწილე პირების უნარ ჩვევების ამაღლების მიზნით.
- უზრუნველყოფილი იქნას საზოგადოების დასწრება ელექტრონულ სხდომებზე.

პირველადი ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „უფლებები საქართველო“ ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ- დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

